№ 28 17 მარტი, ოთხშაბათი 1866—1876 17 მარტი, ოთხშაბათი № 28

# დროება

ГАЗЕТА „ДРОЕБА“

РЕДАКЦІЯ

ვილიამინოვის ქუჩაზე, Артемъ ჩაიგეშტოვის სახლებში.

ХЕЛИС-МОЦВЕРА

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებლებისთვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.

ГАЗЕТИС ФАСИ

წელიწადში 8— მან., ნახევარ წელიწადში— 4 მან. და 50 კაპ., თვეში—1 მან.

Ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ГАМОЦДИС КВІРАОБГІТ, ОТХШАБАТОБГІТ ДА КАРАСКЕОБГІТ

ГАНСАХАДЕБА

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანცუზულს ენებზე.

ГАНСАХАДЕБІС ФАСИ

დიდი ასოებით, ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულია, ატრიქონზე—8 კაპ., ციცეროთი. სტრიქ. — 5 კაპ. და ჰეტიტით — 4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა. Даубечдели სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქციაში (ვილიამინოვის ქუჩაზე, ჩაიგეშტოვის სახლებში) მიიღება

ХЕЛИС-МОЦВЕРА ამ 1876 ВЛИС

## „დროებაზე“

ФАСИ მთელი წლისა—8 მან.
ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კ
სამის თვისა — —2 მან. და 50 კ
ერთის თვისა— —1 მან. „ „ „

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა შემდეგის ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба.“

ახალი ხელის-მომწერლები ყველა ამ წლის ნომრებს თავიდამვე მიიღებენ.

ჩვენს აგენტებს შარშანდელი ფულების დროზე გამოგზავნის თხოვნას ვუმეორებთ.

## საქართველო

### დღიური

—

კავკასიის ნამესტნიკის მთავარ სამმართველოს ახალმა უფროსმა—სენატორმა ალუშინმა მოიწვია გასულ კვირისთვის, თფილისის კლასიკურ გიმნაზიაში გამოსაცხადებლად, ჩინოვნიკები სამოქალაქო უწყებისა, რომელნიც კი „მოისურვებენ იმის გაცნობას.“

დანიშნულ დროს, სწორეთ 2 საათზე, უფ. ალუშინი მივიდა გიმნაზიაში, სადაც ხსენებული უწყების უფროსნი თავიანთ ხელქვეევით ჩინოვნიკებით შეკრებილნი იყვნენ.

სენატორმა ალუშინმა ჩამოიარა ზალაში და სხვა-და-სხვა უწყების ზოგიერთ უფროსებს გამოჰკითხა საქმეები, რომელნიც იმათ ხელშია და აგრეთვე გააცნო იმათ თავის საკუთარი ჰაზრი და შეხედულება ამ საგნებზედა.

განსაკუთრებითი ყურადღების ღირსია უფ. ალუშინის სიტყვა, რომლითაც იმან მიმართა ქალაქის პოლიციასა და ლუბერნიის სამმართველოს იმ განყოფილებას, რომელსაც აქალაქის კეთილ-განწყობილება აქვს მინდობილი. პოლიციას იმან უთხრა შემდეგი სიტყვა, რომელიც „თფილისის მოამბიდამ“ მოგვყავს:

„პოლიციის დანიშნულება ის არის, რომ ქალაქის მშვიდობიანობა დაიცვას და შეუშფოთებელი ძილის ღონის-ძიება მისცეს მცხოვრებთა. დღემდი პოლიციას ეს მოვალეობა ღირსეულად ვერ აუსრულებია.

„ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ქალაქი კიარ არის ჩვენთვის გაჩენილი, არამედ ჩვენა ვართ ქალაქისათვის.“

ლუბერნიის სამმართველოს ზემოხსენებულ განყოფილებას იმან, სხვათაშორის, უთხრა, რომ ქალაქი საკმაოდ ფულებს ხარჯავსო, მაგრამ ეს ხარჯი ქალაქის კეთილგანწყობილებას სრულებით არ ეტყობაო.

შემდეგ იმან მიმართა საზოგადოთ ყველა აქ მდგომთ და შემდეგი სიტყვა უთხრა:

„თქვენი გაცნობა ჩემთვის ძლიერ სასიამოვნოა. იმედი მაქვს, რომ ჩვენ ერთ ჰაზროვნობითა და ერთ-სულობით ვიმსახურებთ და მით მოგვეცემა ღონის-ძიება, რომ წინასწარგანზრახულება მისის იმპერატორებითის შმაღლესობისა ბეჯითად შეეასრულოთ.“

მეოთხე საათის მეოთხედზე უფ. ალუშინი გამოეთხოვა სამოქალაქო უწყების ჩინოვნიკებს და გამოვიდა ზალიდამ.

* * *

დღეს, ოთხშაბათს, დიდი მთავარი კავკასიის ნამესტნიკი და სენატორი ალუშინი ქუთაისის ღუბერნიაში მიბრძანდებიან.

* * *

ჩვენი გაზეთის წასულ ნომერში მოკლე ცნობა იყო ერთი ვილაც ყმაწვილის მოტაცებაზე. დღეს შეგვიძლიან ამას შემდეგი დაუმატოთ:

ხალხის ცრუ-მორწმუნოებამ ეს გარემოება თავისებურად ახსნა და ყმაწვილის მოტაცება ურიებს დააბრალა. ამის გამო გასულ პარასკევს მეიდანზე რამდენიმე უწესობა მოხდა: გამვლელ-გამომვლელ ურიებს ხალხმა შეურაცხყოფა მიაყენა.

შესანიშნავია, რომ ყოველთვის ამ დროს, ამ დიდ-მარხვაში ერცელდება ხოლმე ჩვენში, რომ ურიებმა ქრისტიანი ყმაწვილი მოიტაცესო. ხალხი დარწმუნებულია, რომ ურიების სარწმუნოება მოითხოვს, რომ ყოველ წელიწადს იმათ ერთი ქრისტიანი ყმაწვილი უნდა ჩაიგდონ ხელში და სისხლი იშოვნონ.

ეს წმინდა ცრუ-მორწმუნოებაა, ამას არავითარი საფუძველი არა აქვს. მართალი რომ ყოფილიყო, განა ამდენი ხანი არ აღმოჩნდებოდა ეს გამოძიებით? რამდენჯერ იყო ამ გვარს ხმებზე გამოძიება და ყოველთვის დამტკიცდა, რომ ეს იყო ხალხის ცრუ-მორწმუნოებისაგან წარმომდგარი უბრალო ცილის-წამება.

* * *

ჩვენს ქალაქში ახალი კლუბი იმართება—პრიკასჩიკებისა. ალუბთან იქნება აგრეთვე გამსესხებელ-შემნახველი კასსა, რომლის პროექტსაც, როგორც გვითხრეს, ამ დღეებში წარუდგენენ მთავრობას დასამტკიცებელად.

* * *

ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ იმ ქალაქის სამკურნალოში, რომელიც 4 აპრილის სახსოვრად არის გამართული ქალაქის ღარიბი ხალხისათვის, ხშირად ისეთი პირებიც მოდიან და ექიმების რჩევითა და წამლებით სარგებლობენ მუქთად, რომელთაც ძალიან კარგათ შეუძლიანთ ფულითაც მოიპოვონ როგორც ერთი ისე მეორე. ავარგი იქნება, რომ პოლიციამ ამ გარემოებას მიაქციოს ყურადღება და ამგვარ პირებს სიღარიბის მოწმობა არ მისცენ, რადგან ამით ნამდვილ ღარიბებს აკლდებათ აუცილებელი შემწეობა.

* * *

ქალაქის ერთ-დღიურ აღწერის გამგებელი გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ დღეს, 17 მარტს, ხსენებული აღწერის ზედამხედველნი მოწვეულნი არიან ქალაქის რჩევის ზალაში საღამოს 7 საათზე, რათა მოილაპარაკონ გასასინჯ აღწერის დღის დანიშვნაზედ და კვარტირის ფურცლებიც მიიღონ.

---

## ფელეტონი

### ხმა მონასტრიდამ

—

მართალია, მარტი ჯერ ისევ კარს გვადგია და ქიევის მთები ჯერ კიდევ თეთრათ არიან შემოსილნი, მაგრამ რუსეთული ზამთრის ყინვა კი, ეგონებ, მოგვშორდა. ამდენ ხანს დამალულმა მზემ ძლივს ამ ბოლო დროს დაგვანახვა თავი; ჩრდილოეთური გაბმული სქელი ბურუსი, ცოტა არ არის, გვეფანტება გარს და გამოვდიეართ იმ სულის შემგუბებელ, ეიწრო ცის დასაელიდამ, რომელშიაც ვიყავით მონწყვდეული მთელი ეს ხანგრძლივი ზამთარი და მოკლე შემოდგომა. ზაფხულისებურათ ჩვენ წინ იშლება თვალ-გაუწვდენელი რუსეთის თანასწორი მინდვრები და, ეიწრო ცის დასავლის ნაცვლად, გარს გვერტყმევა ერცელი, თითქო, დაუსრულებელი გარიზონტი...

ის არ გამოუცდია ის სიამოვნება, რომელსაც ჰბადავს ამ გვარი გაშლილი სივრცის ცქერა!! ამ დროს, თითქო რაღაც ნაირის მანქანებით, თქვენ ივსებით საიდგანღაც მოსულის ძალით. სიყვარული, ენერგია, პატიოსნებისადმი ლტოლვილება... სულ ყველა მშვენიერი და პატიოსანი—თავის უფლად და დაუკითხავათ შემოდიან თქვენს გულში.. თქვენ წინ გაშლილი სივრცე თავისუფლების ბუდეთ გეხატებათ და გასცქერით მას.. თქვენს მხედველობას არავითარი სიგანე არ აყენებს უკან. თქვენი სული, თანამედროვე ცხოვრების უმსგავს გარემოებათაგან, შებოჭილი და მოკრუნჩხული, ამ დროს ამპარტავნულად იშლება; ცხოვრების ბორკილების ნაცვლად მას თითქო მძლავრი ფრთები ესხმის და დაფაციცებულის სიხარულით და სიწრაფით უნდა გაფრინდეს ამ დაუსრულებელ თავისუფალ სივრცეში; გაფრინდეს იქით, სადაც კაცი თვეზიეით არ არის ჩამუნჯებული, სადაც ადამიანები მგლებათ, მელიებათ და ცხვრებათ არ განიყოფებიან. თითქო ჩვენ სამარცხვინოთ და დასაცინრათ ჩვენს თავს ვადიდებთ და ვამაყოვნებთ, მაშინ როდესაც ჩვენი მოქმედება, ცხოვრება ცხადათ ამტკიცებს, რომ ჩვენა ვართ უგუნური და უმსგავსი მონები და რაც უფრო საზიზღარია, მონები მგლებისა და მელიებისა!...

---

მაგრამ, ცოტა არ არის, მოეშორდით ჩვენს საგანს. მიუბრუნდეთ მასვე... ბარდა გორიზონტის გადიდებისა გაზაფხულის მოახლოვებამ სხვანაირი ნიშნებიც დასდო ჩვენ ზამთრულ-ერთგვარ ბუნებას... ქვალად გამოჩნდნენ, საციეის ცხარე მათრახისგან შეშინებულნი, ქიევის აბრანძული მთხოვრები, გამოჩნდნენ და, ჩვეულებრივ, გაიფანტნენ ეკკლესიეების კარებების წინ... სად იყო ამ საშინელ ზამთარში ეს ნახევარ ტიტველა ხალხი? რითი და სად სცხოვრობდნენ ეს ულუკმა-პურო ადამიანები?.. სწორე მოგახსენოთ ნამდვილი არა ვიცი რა; ეს ცხადია, რომ ეს ენი თბილ სახლებში არ იქნებოდნენ, რომ ამათ ბევრი კიდეც ეშიებოდათ და კიდეც ეცოვებოდათ.

---

ბარდა ყველა ამისა გაზაფხულის მოახლოვებამ ჩვენი ქიევი სწორეთ ვენეციას დაამსგავსა.. რასაკვირველია, იმ გარჩევით კი, რომ ვენიციის წყლის არსების ნაცვლად ჩვენ ქიევში ლაფების არხები გაჩნდნენ. თოვლის დნობისაგან რუები მოჩახჩახობენ ქიევის ქუჩებში და რადგანაც აქ მოძეტებული ქუჩები და მოედნები ქვებ-

## სხდომა ქალაქის რჩევისა

15 მარტს, ორშაბათს

სხდომა დაიწყო 7½ საათზედ. ი. ქალაქის ბაბგეობის წევრმა ფონდოევმაშემოიტანა რჩევაში თხოვნა, რომელშიაც გამოაცხადა თავისი თანამდებობის დატოვების სურვილი; რჩევაც, შემდეგ მცირედის მოლაპარაკებისა, დაჰყაბულდა მის თხოვნას და გადაწყვიტა უ. ფონდოევის წევრობიდამ დათხოვნა.

თვით უ. ფონდოევის დათხოვნის საქმე მალე გადაწყდა, მარამ ამის შემდეგ ალიძერა კითხვა—თუ ვინ უნდა ამოირჩიოს ახალი წევრი? ქალაქის ბამგეობაში არის სამი წევრი, ამ სამს წევრს ჰყავს სამი კანდიდატი, რომელნიც უნდა ჩადგნენ წევრის მაგივრად, თუ ვინიცობა წევრი რისამე მიზეზით ველარ ასრულებს სამსახურს ან სრულებითაც გამოვა ბამგეობიდამ. ამას წინათ გამოვიდა ბამგეობიდამ წევრი ლ. ელიმირზოევი, და მის მაგივრი ამოირჩიეს უ. თამამშოვი, კანდიდატების რიცხვიდამ. დარჩალა ორი კანდიდატი. საქმე ეხლა იმაშია: ფონდოევის მაგივრი წევრი ამ ორი კანდიდატიდამ უნდა ამოირჩიოს, თუ ჯერ მესამე კანდიდატი ამოირჩიონ და მერმე, კანდიტატების შეერთებული რიცხვიდამ უნდა ამოირჩიოს ახალი წევრი.

მ ა თ ი ნ ო ვ ი. ჯერ შევადგინოთ ის კონტინგენტი (რიცხვი) კანდიდატებისა, რომლიდამაც უნდა ამოირჩიოს წევრი და შემდეგ იქიდგან თვით წევრიც ამოვირჩიოთ.

უ ო რ ლ ა ნ ო ვ ი. ჯერ ფონდოევის მაგივრი უნდა ამოვირჩიოთ და შემდეგ კანდიდატები. არცერთი მუხლი სამოქალაქო წესდებისა არ ამბობს, რომ, სახამ დარჩენილია ერთი კანდიდატი, მაინც ამოირჩევოდეს; ხალი კანდიდატი, როგორათაც წევრი, ამოირჩევის ოთხის წლის ვადით.

თ ა ვ ს მ ჯ დ ო მ ა რ ე. საქმე იმაშია, რომ თუ ამოვირჩიეთ ახალი წევრი ამ ორი კანდიდატიდამ, მაშინ სამს წევრს ეკოლება ერთიღა კანდიდატი.

ს უ რ გ უ ნ ო ვ ი. სამოქალაქო დებულების 84 სტატიის აზრით, როცა გამოდის სამსახურიდამ ერთი წევრი, მის მაგივრად შედის კანდიდატი; თუ გამოდის მეორე წევრი, მის მაგივრად შედის მეორე კანდიდატი, და ასე, სანამ ერთი მაინც დარჩება. ეხლა ვიკითხეთ, როცა ჯერ კიდევ არიან ძველი კანდიდატები, გვაქვს უფლება რომ ამოვირჩიოთ, წევრად ახალი კანდიდატი?

დ ო ლ უ ხ ა ნ ო ვ ი. კანდიდატების კონტინგენტი უნდა ყოველთვის სრულად იყოს, და მერმედ იმ შესრულებულს კონტინგენტიდამ უნდა ამოირჩიოს წევრი.

თ ა ვ ს მ ჯ დ ო მ ა რ ე. საქმე იმაშია: ჯერ კანდიდატების რიცხვი უნდა შესრულდეს და მასუკან მათ შორიდამ ამოირჩიოს ახალი წევრი, თუ ჯერ ეხლანდელ კანდიდატებიდამ ამოირჩიოს წევრი და მერმე შესრულდეს კანდიდატების რიცხვი.

ნ. ზ უ ბ ა ლ ო ვ ი. რადგანაც ამ საქმეში ხმოვანები ორ ნაწილად იყოფიან: ერთს ნაწილსა ჰსურს, რომ ჯერ კანდიდატები ამოირჩიოს და მასუკან მათ შორიდამ ახალი წევრი და მეორენაწილსა ჰსურს წინააღმდეგ, ეს საქმე კენჭისყრით უნდაგადასწყდეს.

თ ა ვ ს მ ჯ დ ო მ ა რ ე. მისაც ჰსურს ამ საქმის კენჭის ყრით გადაწყვეტა, გთხოვთ, რომ ასდგეთ.

48 სხდომაზედ მყოფ ხმოვანებიდამ ადგებიან 34.

ამის შემდეგ რჩევამ ხმების უმეტესობით გადასწყვიტა, რომ ჯერ კანდიდატების რიცხვი უნდა შესრულდეს და მერმე ამოირჩიოს ახალი წევრი.

დ ო ლ უ ხ ა ნ ო ვ ი. რადგანაც ჩვენ წინათვე არ ვიცოდით, რომ ეხლა ახალი წევრის ამორჩევა მოგვიხდებოდა და ამის გამო არა გვაქვს წინათვე მოაზრებული—ვინ უფრო გამოსადეგი კაცია ამ საქმისათვის, ამისათვის გთხოვთ, რომ წევრის ამორჩევა გადაზდვათ შემდეგი სხდომისათვის.

ამ თხოვნას ყველანი დათანხმდნენ და წევრის ამორჩევა შემდეგი სხდომისათვის გადასდეს.

სხვა საქმეებში გავიხსენიებთ მხოლოდ ლაპარაკს ინვენტარის კომმისიაზედ. ინვენტარის კომმისია ქალაქში ბიწებს ჰყოფს სამს კატეგორიათ: 1, მიწები, რომელნიც შეადგენენ კერძო პირთ საკუთრებას, 2, ცარიელი მიწები და 3, მიწები, რომელნიც შეადგენენ ქალაქის საკუთრებას.

ი ზ ვ ი რ ო ვ ნ ა იკითხა: ამ კატეგორიებში რომელს კატეგორიას მიეთვლებიან ის მიწები, რომელნიც სახელმწიფო შენობაებს აქვთ დაჭერილი?

ს უ რ გ უ ნ ო ვ ნ ა სთქვა, რომ, თუ სახელმწიფო შენობებით დაჭერილს მიწებზედ არ არის ნასყიდობის ქალალდი, ის მიწები ქალაქის მიწებად უნდა ჩაითვალოსო.

შემდეგ მოილაპარაკეს ინვენტარის კომმისიის ახლად შედგენაზედ ამ კომმისიის წევრად ამოირჩიეს: ი. ამირაგოვი, იაკობ აბესალომოვი, გრიგ. ბაიკოლოფოვი, ი. ზუბალოვი და პ. შადინოვი.

სხდომა გათავდა ათ საათზედ.

---

## სხდომა ახალციხის ძველისმოქმედი საზოგადოების გამგებელ კომიტეტისა, 6 მარტს 1876

—

თავსმჯდომარედ იყო პ. ი. ბოლუბ, კომიტეტის წევრნი: ვ. ვ. კარნოვიჩი, ნ. ი. ალექსეევ—მესხიევი, ს. ბ. წერეთელი, კ. ს. მეფისოვი, უფროსი ნ. ნ. ბრენი, ძველი ქალაქის უბნის დეპუტატი ს. პაპაზოვი და უფასო შკოლის გამგე ი. ი. ბოპაძე; სეკრეტარი ვ. ბ. ბამრეკელი.

სხდომის გახსნისათანავე სეკრეტარმა წარმოადგინა ანგარიში ძველისმოქმედი საზოგადოებისა დაარსებიდამვე 4 ოქტომბრიდამ, ვიდრე ამ 1876 წლის 6 მარტამდე.

ა) სეკრეტარმა წაუკითხა საზოგადოებას უფ. თფილისის ღუბერნატორის კ. ი. ოლოლოვსკისა და თ. ბ. დ. ოლბელიანისაგან მიღებული ქალალდები, რომელშიაც ისინი აცხადებენ თანხმობას, რომ მიიღონ სახელწოდება ამ საზოგადოების მფარველი-მწეერობისა.

ბ) ანგარიშიდამ აღმოჩნდა, რომ საზოგადოებას ჰყვანდა 6 მარტამდინ: 2 მფარველი - წევრი, 2 საპატიო მზრუნველი, 44 ნამდვილი წევრი და 10 წევრი — თანამგრძნობელი (членъ-соревнователь).

გ) ხაზინის ანგარიშიდამ აღმოჩნდა, რომ საზოგადოებას ხელ-წერილებით ჰქონდა გასესხებული 885 მან. და 80 კაპ., წევრთა შემოსატანი შემოვიდა 17 წევრისაგან — 170 მან., ერთის წევრის-თანამგრძნობელისაგან — 5 მან., მომრიგებელ მოსამართლემ გამოგზავნა — 3 მან., ბალიხის უფროს უფროსმა გამოგზავნა — 100 მან. რომელიც ხაზოგადოების უფასო შკოლის ბიბლიოთეკიდა ქალაქისაგან, ვალი შემოვიდა — 50 მან., ხაზინადარს გადასცა უფ. ნ. ალექსეევ-მესხიევმა--186 მან., რომელიც ორი წარმოდგენიდამ შემოვიდა.

სულ შ ე მ ო ვ ი დ ა — 564 მან.

დ ა ი ხ ა რ ჯ ა შკოლისა და სხვა და სხვა საგნებისათვის — 524 მან. და 64 კაპ.

დ ა რ ჩ ა ნ ა ლ დ ი ფული — 39 მან. 36 კაპ.

სეკრეტარმა წაიკითხა შემოსავალ-გასავლის წიგნები, რომელიც კომიტეტმა შეამოწმა და ნამდვილად დაინახა.

კომიტეტმა დასდვა: გამართოს კიდევ რამოდენიმე წარმოდგენა და წევრთა სთხოვოს, რომ მალე შემოიტანონ საზოგადოებაში საწევრო ფული.

დ) შკოლის გამგებელმა უფ. ბოპაძემ წაიკითხა საქალებო უფასო შკოლის ანგარიში, რომლიდამაც აღმოჩნდა, რომ იმ შკოლაში იყო: სამი ქალი - მასწავლებელი, შაგირდი — 59, რომელთაგან რუსი — 5, ქართველი — 51, სომეხი — 1, პოლშელი — 2.

თფილისის ღუბერნიის სახალხო შკოლების დირექტორმა დაათვალიერა ეს შკოლა და დარწმუნდა, რომ ის ჩინებულს მდგომარეობაშია; იმან გამოუცხადა მასწავლებლებს მადლობა კარგათ სწავლებისათვის.

ე) წარმოდგენაების (სპექტაკლების) გამგებელმა უ. ნ. ალექსეევ-მესხიევმა დაწერილებითი ანგარიში წარმოადგინა სპექტაკლების შემოსავალ-გასავლისა. კომიტეტმა განიხილა ეს ანგარიში და ნამდვილად სწორედ იცნო.

თავსმჯდომარის მაგივრი — პ. ბ ო ლ უ ბ.
საზოგადოების სეკრეტარი და ხაზინადარი —
ვ. ბ ა მ რ ე კ ე ლ ი.

---

---

დაუგებლად განისვენებენ, ამისგამო წყალს ერთვის მიწაც და ჩნდება წარღვნები და მეწამული ზღვები. ამ ორსამ დღეში ბევრჯელ, ბევრჯელ მომაგონა ამ ლაფებმა ნოეს კოდობანი და მანატრებინა მოსეს კვერთხი; მაგრამ, რომ მოგეხსენებათ, რომ ნატერა უსრულდება მხოლოდ მას, ვისზედაც არის გადაფარებული კალთა ღვთისაო და რადგანაც ამ კალთის ნაცვლად ჩემ ცოდვილ თავს მხოლოდ ქუდი ჰფარავს, ამისათვის ცხადია რომ ჩემი ნატერა რჩებოდა და დარჩება მხოლოდ ნატერათ. ამ ნაირად იძულებული ვხდები, რომ მხოლოდ ჩემი ფეხებით ვაპო ლაფი და ტალახი.. და სწორე გითხრათ, ეხლა ბევრ არაფრათ ვიმჩნევ ამას.. რასაკვირველია, ნოეს კიდობანით რომ დავსვირნობდე და მოსეს კვერთხით რომ ვაპობდე ამ ლაფებს და მშრალზედ დავბრძანდებოდე უფრო კარგი იქნება, მაგრამ რადგანაც ამათ უქონლობას სხვა გარემოება ჰფარავს, ამისთვის არაფრათ ვიმჩნევ ამ დღეებში სიარულს. საქმე იმაშია, რომ დღეს ამ ლაფებზედ გაცხარებით დულს ადამიანის სიცოცხლე, სიცოცხლე მართალია წვრიმალი და ბურჭუაზული, მაგრამ, რაც უნდა იყვეს, მაინც სიცოცხლე. ჩვენი ქალაქი ისეთი უსიცოცხლო კუთხე გახლავთ, რომ ამგვარი მოვლინებაც კაცში რალაც სიამოვნებას ჰბადავს.

---

თვე მიდის, რაც ჩვენ ქიევში იარმუკობაა გაჩაღებული. ქიევის დაცარიელებული მოედნები ამ თებერვლის დამდეგს უცებ ფიცრული ქოხებით ქოიფინა; უხალხო ქუჩებში გაჩნდა ხალხის მოძრაობა, რომელმაც, ცოტა არ არის, მთელ ქიევს ცოცხალი და მხიარული სახე დასდო. ვაჭრობის გენიოსი—ებრაელი არც აქ ჩამორჩენია სხვებს უკან. თითქმის სულ მთლად ეს იარმუკობა სდგას და მოძრაობს ურიეებზედ. რასაკვირველია, ურიეების გარდა სხვა ხალხებსაც ბევრი წარმომადგენელი ჰყავს აქა: რუსი, თათარი, ნემეცი, ფრანცუზი სულ ერთმანეთში არიან არეულნი და, თითქმის, სულ ერთნაირისავე სვინდისით ატრიალებენ თავიანთ აღებ მიცემობას..

— ეს როგორ?—ეუბნება მუშტარი ვაჭარს და უჩვენებს რომელსამე ნივთს

— ეგ, პანიჩ — ექვსი აბაზი ღირს... უპასუხებს ვაჭარი.

— ორ შაურს მოგცემთ.

— რას ბრძანებთ! ორ შაურათ როგორ შეიძლება, ღიმილით ეუბნება ვაჭარი.

— თქვენი ნება არის, აშბობს მუშტარი და აპირობს ამისგან გაცლას.

— მოითმინეთ, პანიჩ!. ექვს შაურათ მიირთვეთ.... აბაზათ.... მიირთვით, მიირთვეთ ორ შაურათ. და აძლევს ექვს აბაზათ დაფასებულს ორ შაურათ.

დახედეთ ამას, მკითხველო.... ნუთუ ჩვენებურ ვაჭრებს ჩამოუცვივიან რითიმე აქაური ვაჭრები?! და საკვირველი ის არის, რომ ამავე ვაჭარს საღამოზედ თქვენ ნახავთ რომელსამე ეკლესიაში ორთავ მუხლებზედ დაჩოქილს და გულ-მხურვალედ ღვთის მაევდრებელს!. ქრისტიანიც ასეთი უნდა!.

რას იზავთ თქვენ, მკითხველო, რომ თქვენმა ტანისამოსმა, გაცვეთისა გამო, აღარ დაგიფაროთ სიცივიდამ ანუ მზის სხივებისგან? — „სხვას შეეკერავ“ — ბრძანებთ თქვენ. ქარგი და პატიოსანი! მაშინ რალას იზამთ, რომ „ამირან დარეჯიანები“ და „ქალვაჟიანები“ თქვენზედ ალა-

## „დროების“ კორრესპონდენცია

---

Рачинд, 10 მარტს

Ყოველი საზოგადო, ნამეტურ გლეხების სასარგებლო საქმე, დარწმუნებული ვართ, თქვენთვისაც სასიამოვნო იქნება, ამიტომ ამ წერილით მსურს შეგატყობინოთ ის კეთილი სურვილი ხვანჭკარის და სადმელის საზოგადოებისა, რომელსაც ისინი განიზრახვენ წარსულის წლის გიორგობის თვიდგან.

ეს გახლავთ ბანკის დაწესება ამ ორს საზოგადოებაში, რომლის მოთავეთ არის უ. დავით ნანუკოვი, მცხოვრები დაბას ონში, რადგან ამ ყმაწვილ კეთილ მოქმედს ეს ორი საზოგადოება კარგათ ვერ იცნობდა, ამიტომ იმან იხერხა და გამოძებნა ისრეთი პირები, რომლებსაც ხალხში გაელენა ჰქონოდესთ; ეს პირები არიან: ხვანჭარის საზოგადოებაში—იქაური თავადი ქოსტანტინე ყიფიანი, რომელზედაც ხალხს დიდი ნდობა აქვს და სადმელის საზოგადოებაში—იქაური ერთი მღვდელთაგანი. როდესაც ეს უკანასკნელი ხალხს უხსნიდა ბანკის საჭიროობას და სარგებლობას, ერთმა სუდიათაგანმა უპასუხა: „ჩვენთვის, შამო, ბანკის საქმე რადგან გაუგებარია და ამის მეტათ არც კი გაგვიგონია, ამიტომ ამ საქმეზედ დათანხმება ძნელი იქნებოდა, მაგრამ თქვენზედ ნდობა გვაქვს და იმედი, რომ შეცთომილებაში არ შეგვიყვანთ.“

გიორგობის თვეში შესდგა ხვანჭკარის საზოგადოებაში სოფლის განჩინება, რომლის ძალით ეითხოვეს წესდების დამტკიცება, რომელიც 19 იანვარს ამ წლისა დამტკიცებული, 21 ამ თებერვალს მიიღეს.

ამ წესდებით სადმელის და ხვანჭკარის საზოგადოებამ ერთად უნდა დააწესონ ბანკი, რადგან ეს ორი საზოგადოება ერთი მეორეზედ დამოკიდებით არ არიან. ბანკში შემოსვლის ნება აქვსთ, იმავე წესდებით, მახლობელ საზოგადოებსაც. ამ კეთილ საქმეში მონაწილეობას იღებს ადგილობითი მიროვოი პოსრედნიკი უ. ალექსანდრე ჯაყელი, რომელიც აღუთქვამს ბანკს შემწეობას. ხვანჭკარის საზოგადოების მამასახლისიც ამხნევებს ხალხს და არწმუნებს, რომ ბანკი მათთვის ძლიერ სასარგებლო საქმეა.

თვითონ იცით, უ. რედაქტორო, ყოველ საქმეს და უმეტეს გლეხებისას მოთავე და მასთან ისეთი პირები უნდა, რომ ხალხს მათზედ სრული ნდობა ჰქონდეს, თორემ ამ ორს საზოგადოებაში ბანკის დაწესება საძნელო არ იყო, რადგან ხვანჭკარის საზოგადოება ღვინითა და სადმელი პურით მრთელს რაჭაში პირველი არიან.

ჯერ ბანკის გამგეობის მწევრები არ ამოურჩეეიათ და ამხანაგობაც არ შემდგარა; მაგრამ იმედია მოთავეებმა მალე შეასრულონ.

ა. შ—ძე.

---

# უცხო ქვეყნები

**საფრანგეთი** („დროების“ კორრესპონდენცია). „საფრანგეთმა გამოსთქვა თავის სურვილი. რესპუბლიკა დაწესებულია!“ ეი ამ სიმღერას მღეროდენ ალმორჩევების შემდგომ რესპუბლიკური გაზეთები ნაირ-ნაირის ხმით. „როგორც ჩვენ ვამბობდით, ისე გამოვიდა!“ სიხარულით ამბობენ რესპუბლიკელები.

ეს გულის წადილის მიღწევა და შესანიშნავი გამარჯვება არ აბრმავებს მათ: დღეს ისინი ცდილობენ, რომ რაც კი შეიძლება მტკიცე კავშირი შეადგინონ ყველა რესპუბლიკურ პარტიებს შუა. ამ ჰაზრის აღსრულებას ძალიან ცხარეთ შეუდგა გამბეტა. ამას წინათ ლიონში გამბეტამ წარმოთქვა სიტყვა, რომელშიაც საფუძველიანათ დაამტკიცა ერთობითი მოქმედების სარგებლობა რესპუბლიკელებისთვის.

„ახლა, როცა რესპუბლიკა გადაწყვეტით დაწესებულია, და როდესაც ორივე პალატაში უმრავლესობა ჩვენ გვიჭირამს ხელშიო, სთქვა ამ ჭვიანმა და მჭევრმეტყველმა ორატორმა, უნდა ვეცადოთ, რომ ყველა ჩვენი მოპირდაპირენი შეიქნენ უძლურნი. ამ მიზნის აღსრულება ცხოლოდ შეერთებულის ძალით შეგვიძლიან.“

თავდაპირველი საქმე ეხლა მინისტრების ალმორჩევაა.

ყველა დარწმუნებულია, რომ სამინისტრო უნდა შესდგეს რესპუბლიკელებისაგან. ეხლა ნამდვილათ შეიძლება თქმა, რომ კაბინეთს შეადგენენ მარცხენა ცენტრის მწევრები, ესე იგი მშვიდობიანი პოლიტიკის მომხრენი. ქაზიმირ პერიე. რომლის ალმორჩევას აპირებდნენ სამინისტროს თავსმჯდომარედ, ერთობ დიდხანს ყოყმანობდა.

ახალი სამინისტრო (კაბინეთი), როგორც გამოაცხადა „ოფიციალურმა ჟურნალმა“, შესდგება შემდეგის პირებისაგან:

**დიუფორი** (დეპუტატი)—სამინისტრო რჩევის თავსმჯდომარე და იუსტიციის (მსაჯულების) მინისტერი.

**დეკაზი** (დეპუტატი)—გარეგანი საქმეების მინისტერი.

**რიკარი** (უწინდელი დეპ.)—შინაგანი საქმეების მინისტერი.

**ლეონ სეი** (სენატორი)—ფინანსების მინისტერი.

**სისე** (სენატორი) სამხედრო მინისტერი.

**ფურიშონი** (სენატორი)—ზღვისა და კოლონიების მინისტერი.

**ვადინგტონი** (სენატორი)—სახალხო განათლების და ხელოვნების (beaux—arts) მინისტერი.

**ქრისტოფლი** (დეპუტატი)—საზოგადო მუშაობის (travaux publics) მინისტერი.

**ტეისერენდებორი** (სენატორი)—მეურნეობისა და ვაჭრობის მინისტერი.

უწინდელი კაბინეთისაგან რჩებიან დიუფორი, სეი, დეკაზი და სისე. ახალ ამორჩეულებისაგან რიკარი და ქრისტოფლი ერთ დროს მარცხენა ცენტრის თავსმჯდომარენი იყვნენ. მეურნეობის მინისტრიც აგრეთვე მარცხენა ცენტრის მწევრია.

ეი კაცები, რომელზედაც რესპუბლიკელებს დიდი რწმენა აქვთ. რადიკალები, რასაკვირველია, უფრო სიფრთხილით ენდობიან. ეს დაუნდობელობა მისგან წარმოვალს, რომ რადიკალებს სურთ ერთბაშათ წინ წაწევა, ხანდისხან ნახტომებით სიარული, რომლის სურვილს დაამბრკოლებს ეს კაბინეთი, რომელიც მომხრეა კონსერვატიული პოლიტიკისა.

ბ. კ.

Парижи, 11 მარტს

---

# ნარევი

უფ. სხვეიტორელისაგან მიეიღეთ ჩვენ ქვემოთ მოყვანილი თარგმანი ბერძულის პატრიოტულის ლექსისა. ამასთანავე ის გვწერს, რომ ეს ლექმე აქ, იმერეთში გავიგონე ყანდიელი შუშა ბერძნებისაგანაო და სასიამოვნოაო იმათი დანახვა, როცა ამას მღერიანო; აღტაცებაში მოდიანო, მთელი პირის-სახე აენთებათო და ერთად ხტიანო. ბერძულად ეს სიმღერა ამ სიტყვებით იწყება: „ოხ! ფლიგერონ ქე კოპტერონ სპაფიმუ და სხვ.“

ეი ეს ლექსი პროზიდ გადმოღებული ქართულად:

„ჰოი, მოღუნულო მჭრელო ხრმალო ჩემო და თოფო მოელვარეე, ჩიტო ჩემო! თქვენ დახოცეთ მტერი ჩემი, მტანჯველი ჩემი დაჭკეპეთ.

„აღსდეგ, სამშობლოვ ჩემო!
იცოცხლე ხმალო ჩემო!

„ჩემი სამშობლოს თავისუფლებისათვის და ესო ქრისტეს წმინდა სარწმუნოებისათვის — ამ ორ-სთვის ეჩხუბობ, ამ ორისთვის მსურს, რომ ვიცხოვრო! თუ ესენი ვერ მოვიგე, რას მიქვიან სიცოცხლე ჩემი!

„ბაშავდა ცა მოელვარე და გრგვინავს, გრგვინავს გრიგალი. და ძე ეიწრო ხევში დავდივარ, მთებზედ ავდივარ და ვყვირი:

„აღსდეგ, სამშობლოვ ჩემო!
იცოცხლე, ხრმალო ჩემო!

„ჭამი მოვიდა საყვირის დაკვრისა! მეტის სიხარულით სისხლი კრთება ძარღვებში, ღელავს. ბამ-ბამ, ბუმ-ბუმ, გლინ-გლინ, გლუნ-გლუნ!

---

რავითარ გავლენას არ ახდენს? „თუ „ამირან-დარეჯანიანებ“ და „ძალეაჟიანებს“—იტყვით თქვენ—„ჩემზედ ალარავითარი გავლენა არა აქვთ—ეს იმას აჩვენებს, რომ სწავლა და დარიგება, გამოხატულნი მათში, ალარ აკმაყოფილებენ ჩემს გონებითს და ზნეობით მოთხოვნილებათ. მაშასადამე უნდა შეეცვალო ისინი იმგვარი სწავლით, რომელიც დაკმაყოფილებს ჩემს მოთხოვნილებათ“... მართალს ბრძანებთ, მკითხველო, მაგრამ საქმე სიტყვებში როდია. ჩემო ბატონო! საქმე მოქმედებაშია. და თქვენი მოქმედება სრულებ ეწინააღმდეგება ამ თქვენ სიტყვებს!.. ჩვეულება ბატონო, ჩვეულება! ერთხელ „ძალეაჟიანები“ სასარგებლონი ყოფილან და ამისთვის მრავალი საუკუნოების შემდეგ ველარც ჩვენ ამოგვიღია ხმა მათ უსარგებლობასა და მავნებლობაზედ. ეს იმას ჰგავს, რომ თქვენ ხოჭიჭურ თქვენს ტანისამოსს ვაჟკაცობასა და სიბერეშიაც გაცმევდნენ ტანზედ.... თქვენ იზრდებით, ჩემო ბატონო, უნდა იცვალოთ ტანთსაცმელიც!.. „დროების ბორბალი მარად შეუყოვნებლივ ტრიალობს. მიდის წინ და გვეწევა ჩვენც წინ. ჩვენც უნდა მივდევდეთ მას და უფარდებდეთ მის მოთხოვნილებათ ჩვენს მოქმედებას და ცხოვრებას“ ამას ამბობს ერთი, ოც-და ხუთ საუკუნით ჩვენ წინ მცხოვრები, ჩინეთელი სჯულის მომცემი და დახედეთ ამ სიტყვებს—დაუკარგავთ ცოტა-დენი მაინც არის ამათ თავიანთ მაღალ მნიშვნელობა ჩვენთვის? ჩვენთვის, თითქო, არც გაზრდა არსებობს, არც დროების ცვლა! მაგრა მოვბღაუჭებიავართ წარსულს და უგუნურათ ვხუჭავთ თვალებს, როდესაც ჩვენ წინ მომავალის სხივი ელავს.. „წამოიწიეთ, ჩემო ძმებო, წამოიწიეთ!.. ზამოდით თქვენისოროებიდამ. ქარგი რამ არის ქვეყანა; სიტკბოებაა მასზედ თვალ ახელულად ცხოვრება!... დაკვერდით ცხოვრებას. იფიქრეთ—ფიქრი ადვილია!... იკითხეთ—კითხვა სახალისოა! იკითხეთ ისინი, ვინც ნამდვილ ბედნიერებაზედ სწერენ. ბედნიერება შესაძლებელია ქვეყანაზედ...“ „უშიშრათ გაახილეთ თვალები, ყოჩაღათ შეხედეთ მომავალის სხივებს.... უცხო და მშვენიერია მომავალი. ბიყვარდეთ მომავალი, ეფლტოდეთ მას, იშრომეთ მისთვის, მოიახლოვეთ ის; გადმოიტანეთ იქიდამ აწმყოში ყველა, რისიც გადმოტანა შეიძლებოდეს. რამდენათაც ბევრს გადმოიტანთ იქიდამ—იმდენად გაუმჯობესდება თქვენი ცხოვრება, იმდენად გაბედნიერდება თქვენი არსება! ბიყვარდეთ მომავალი, ეფლტოდეთ მას, მოიახლოვეთ ის“....

---

მიუბრუნდეთ ისევ ჩვენს იარმუკობას... მართალია აქაურ იარმუკასა და დუქნებშიაც ისეთივე დევნაა სვინიდისისა, როგორიც ჩვენებურ ბაზრებში, მაგრამ აქ, ამ იარმუკობის დროს ათ ვაჭარსა და მუშტარზედ, ვგონებ, ერთი პოლიციელი სალდათი მოვა. ესენი დადიან ხალხში, მღერიან და ამყარებენ ყველგან რიგს, წესს და წყობილებას... ამ გამოუთქმელი წყალობისა გამო თქვენ შეგიძლიანთ აქ ბევრი იაროთ, ბევრი ივაჭროთ და არავითარ ურიგობას არ შეენთხვეთ... „რიგი და წესი სუფევს ჩვენს ქალაქში... მობრძანდით ვისაც ჯიბეები სავსე გაქვთ... მობრძანდით, არავინ არ გკითხავთ თუ როგორ და სად გაიჩინეთ ეგ ჯიბეები!!... ისეირნეთ, ისეირნეთ! დრო გაქვთ და ისარგებლეთ დროთი.“

თქვენებური

ქალაქი, მარტის 12-ს

„სამშობლოს შვილნი მსგავსად გრგვინვისა ხმასა სცემენ ერთმანეთს და მტერსა ეხოცავ! ხმალო ჩემო, გლოცავ!

„აღსდეგ, სამშობლოვ ჩემო!
იცოცხე ხრმალო ჩემო!

„როდესაც, მჭრელო ხრმალო ჩემო, შენ გლიგინობ და შავო თოფო ჩემო, შენ ბანბანუნობ, იხოცებიან მტარვალნი მტერნი, ვაი, ვაის ჰყვირიან; მაშინ მღერის ბერძენი:

„აღზდეგ, სამშობლოვ ჩემო!
იცოცხლე, ხრმალო ჩემო!

„ბერძნისთანა მხნე, ჩვენი თანა ყოჩაღი ჯერ მიწას არ უნახავს. ნუთუ იმან არ შეასრულოს ბუნების სიტყვა, რომელიც უბრძანებს: „გაჰგლიჯე ჯაჭვებიო?!“ ღვთის ნება არის: ხალხი თავისუფალი უნდა იყოს!

„მაშ აღსდეგ, სამშობლოვ ჩემო!
იცოცხლე ხრმალო ჩემო!“

# განცხადებანი


ქაქაზიის სამასწავლებლო მაზრის მზრუნველის ნებართვით, ჩვენი პანსიონი (ამირაგოვისა) გადაკეთდება **კერძო ექვს კლასიან რეალურს გიმნაზიად - კომერციულის განყოფილებით.**

იმ პირთ, რომელთაც ჰსურთ თავიანთი შვილების ამ პანსიონში მიცემის თაობაზე დაწვრილებითი ცნობანი იქონიონ, შეუძლიანთ მიმართონ ხსენებულს სასწავლებელში, რომელიც იმყოფება სოლოლაკზე, სადოვის ქუჩაზე, პეტრე შადინოვის სახლებში.

**ი. მელიქ-ბეგლაროვი**
**გ. თავაქალოვი**

(4—1)

---

**დაიბეჭდა და ისყიდება**
**თამარ საქართველოს**
**გატონისშვილი**
ისტორიული რომანი
**გ. რჩეულოვისა.**
**თფილისში:** მელიქიშვილის და ამხ. სტამბაში და ენფიაჯიანცის წიგნის მაღაზიაში.
ფასი ყველგან ექვსი შაური.

---

**ВРЕМЕННАЯ ДЕШЕВАЯ РАСПРОДАЖА**
часовъ и золотыхъ вещей

**ВЪ МАГАЗИНѢ М. ЦЕЙТЛИНА**
На Дворцовой площади, домъ Шабурова, 2-й отъ угла.

Распродажа начнется съ 14-го марта.

Большой выборъ золотыхъ и серебр. часовъ, браслетовъ, горнитуръ, медальоновъ. Отдѣльныя брошки и серьги, запонки, кольца, кресты, брелоки и прочія вещи 15 % дешевле противъ прежнихъ цѣнъ.

Большой выборъ цѣпей отъ 4 руб. и дороже за золотникъ

**М. ЦЕЙТЛИНЪ.**

---

**ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲘᲐᲤᲐᲓ**

**საათები დასხვა დასხვა ოქროს ნივთები.**

**მ. ᲪᲔᲘᲢᲚᲘᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ,**

სასახლის მოედანზე, შაბუროვის სახლებში, მეორე სართული თხუკიდამ.

გასყიდვა დაიწყება 14-ს მარტიდამ. გამოსარჩევი ოქროსა და ვერცხლის საათები, ბროსლეტები, გარნიტურები მედალიონები, ცალკე ბროშეები, აგრეთვე საყურეები, ზაპონკები, ბეჭდები, ჯვრები, ბრელოკები და სხვა და სხვა ნივთები 15% იაფათ (ნაკლებ) იმაზე, როგორც წინათ ისყიდებოდნენ.

აგრეთვე ბევრი ძეწკვები 4 მამ. და უმფრო მეტათ ერთს მისხალზედ.

**მ. ᲪᲔᲘᲢᲚᲘᲜᲘ.**

---

**LA VELOUTINE**
**(ᲕᲔᲚᲣᲢᲘᲜᲘ)**

ერთნაირი ბრინჯის **ᲙᲣᲓᲠᲘ** (უმარილი), ბისმუტით გაკეთებული.

ეს ეთი ზედმოქმედება აქვს ადამიანის ხორცის კანზე, რომ ალბობს და ახალგაზდა ადამიანის კანს დაამსგავსებს.

ქანს ეკერება და არა სჩანს.

**შ. ᲤᲐᲘ — ᲒᲐᲛᲝᲛᲒᲝᲜᲘ.**

**pommade satin**
**(ᲐᲢᲚᲐᲡᲘᲡ ᲞᲝᲛᲐᲓᲐ)**

ხელების კანის რბილად შესანახავად; ზამთარში არ დაუკდება ხელის კანი, ვინც ამ პომადას ხმარობს.

9, Rue de la Paix, Paris

156—20



ᲐᲗᲐᲡᲘ ᲞᲘᲠᲘ, ქალი და კაცი თავისის მშვენიერის თმის ქონებით ვალდებულია მხოლოთ სამზღვარ გარეთ ვაჭრობაში შემოტანილი ისრეთ წოდებული **ᲛᲪᲔᲜᲐᲠᲔᲝᲚᲒᲘᲗᲘᲡ ᲥᲘᲜᲝᲚ-ᲚᲒᲘᲪᲔᲠᲘᲜᲘᲡ ᲞᲝᲛᲐᲓᲘᲡᲐ**, რომელსაც თმა ამოჰყავს. ᲔᲡ ᲞᲝᲛᲐᲓᲐ ᲣᲪᲓᲘᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲔᲥᲘᲛᲝᲚᲒᲘᲡᲛᲪᲝᲓᲜᲔᲡ **და ᲠᲔᲙᲝᲛᲔᲜᲓᲐᲪᲘᲘᲡ** წიგნი აქვს ქიმიის პროფესორისა **ᲚᲐᲜᲓᲒᲔᲠᲘᲰᲢᲗᲐᲜ** დანიშნულისა, ვენაში, უ. ᲥᲚᲔᲩᲘᲜᲡᲙᲘᲡᲐ და ნებართვა აქვს მოსკოვის საექიმო მთავრობისა; საკვირველი და წარჩინებული წარმატება ჰქონდა და უკანასკნელ დროს მოსკოვის საექიმო მთავრობამ განიხილა და ჰპოვა კარგი თვისება ამისი.

წესიერათ იმის ხმარებაზე მომატებულათ მოსვლეპილი თავიც კი მალე თმით იმოსება. საკვირველათ თავის კეფას უმაგრებს, სრულებით კანის ყოველ გვარ ქერქეშს აშორებს, თმას ამაგრებს, მცირე ხანში ბუნებითი სიბრწყინვალეს აძლევს და მეტის-მეტ მშვენიერის სუნით, რომელიც იმისი ძვირფასი კუთვნილებაა, რასაკვირველია, პირველის ტურფა ტუალეტის დამ. მშვენებელია.

ᲧᲕᲔᲚᲐ ეს თვისებანი ჩემის ნაწარმოებისა მაძლევს სრულს სიმართლეს იმედი ვიქონიო, რომ რუსეთში ძალიან გასავალი ექნება უპატივცემულესის პუბლიკის სასარგებლოდ.

**ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲙᲘᲡᲐ 2 ᲛᲐᲜᲔᲗᲘ**

ᲧᲝᲕᲔᲚ ᲒᲐᲜᲙᲗᲐᲜ არის დარიგება — თუ როგორ უნდა იხმაროს ეს პომადა

---

**ᲞᲝᲛᲐᲓᲐ**
**„PASTA EUGENIE“**

ᲐᲛ ᲞᲝᲛᲐᲓᲘᲡ გამამგონს აქვს პატივი განუცხადოს საზოგადოებას, Pasta Evgenie ისყიდება **ᲗᲦᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲚᲐᲜᲙᲝᲡ** მუზიკალურ მაღაზიაში, სასახლის ქუჩაზე, ᲐᲠᲬᲠᲣᲜᲘᲡ ქარვასლაში, **ᲕᲚᲐᲓᲘᲙᲐᲕᲙᲐᲖᲨᲘ** — სეგალთან და **ᲡᲢᲐᲕᲠᲝᲞᲝᲚᲨᲘ** ᲙᲣᲠᲘᲚᲩᲔᲜᲙᲝᲡთან, სადაც ისყიდება სხვა აქ მოყვანილი ნივთებიცა.

ᲔᲡ ᲞᲝᲛᲐᲓᲐ “Pasta“ იმითია შესანიშნავი, რომ ცოტახნის ხმარების შემდეგ, ლაქები, ჭორფლი, ქერქეში და სიცხისაგან სახეზე მოდებულს სიშავე სრულიად იკარგება და მსწრაფლადაც. პირის სახე იწმინდება და ახალგაზდა ადამიანის სიცხოველე ეძლევა. ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲣᲤᲠᲝ ეს პომადა იმათთვინ არის **საჭირო,** ვისაც სუფთა და თეთრი პისისახე ჰსურთ, რომ ჰქონდეთ. მყიდველებისათვის გარანტი, არის ᲕᲔᲜᲘᲡ ᲥᲘᲛᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ **ᲥᲚᲔᲩᲘᲜᲡᲙᲘ** და მოსკოვის საექიმო მთავრობის მოწმობა.

**ᲤᲐᲡᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ 1 ᲛᲐᲜ. ᲓᲐ 60 ᲙᲐᲞ.**

ᲑᲐᲜᲙᲗᲐᲜ არის დარიგება — თუ როგორ უნდა იხმარებოდეს.

ᲧᲝᲕᲔᲚ პომადის ბანკას, როგორც თმისთვის აგრეთვე „Pasta“-ს აქვს თავის დალი, ᲐᲛᲣᲠᲘᲡ ᲬᲣᲠᲐᲗᲘᲗ და გამამგონის ხელის მოწერა. ᲧᲘᲓᲕᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲐᲛᲐᲡ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ მიაქციეთ.

P. S. პომადა „Pasta“ გამოსადეგია აგრეთვე იმათთვის, ვისაც ხორცის კანის ავათმყოფობა არა აქვს, მაგრამ ჰურს, რომ წმინდა ხორცის კანი ჰქონდეს სახეზე, ხელებზე და ყელზე. BERTHAE RIES.



**ᲮᲔᲚᲘᲡ ᲞᲝᲛᲐᲓᲐ**

ᲔᲡ ᲞᲝᲛᲐᲓᲐ ისეა შედგენილი, რომ იმის ხმარების შემდეგ, ხელის კანი განსაკვირველად რბილდება, თეთრდება და მხოლოთ ღრმა მოხუცებულებაში ჰკარგავს ამ თვისებებს.

**ᲔᲠᲗᲘ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ 1 ᲛᲐᲜ. ᲓᲐ 30 ᲙᲐᲞ.**

**ᲗᲛᲘᲡ ᲡᲐᲦᲔᲑᲐᲕᲘ** — ათი მინუტის განმავლობაში ღებავს და ექვს კვირას სძლებს. ᲤᲐᲡᲘ სამი მანეთი.

**ᲢᲣᲚᲙᲐᲘᲡ ᲑᲐᲚᲖᲐᲛᲘ** — საშუალება მაზოლისათვის. ᲤᲐᲡᲘ 60 ᲙᲐᲞ. 54—12


---

| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . | 9 | 36 | 4 | 54 | | | | |
| მცხეთა. . . | — | — | — | — | - | 68 | - | 38 |
| გორი . . | 12 | 21 | 8 | 41 | 2 | 40 | 1 | 23 |
| ხაშური . . | 2 | — | 11 | 10 | 3 | 92 | 2 | 18 |
| ბეჟათუბანი | — | — | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ᲧᲕᲘრილა . | — | — | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| ᲥᲣთაისი. . | 8 | 23 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია . | — | — | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| Ახ.-სენაკი . | — | — | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| Ფოთი. . . | 11 | 44 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| Ფოთი . . | 8 | 40 | | | | | | |
| Ახ.-სენაკი. | — | — | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია. | — | — | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| ᲥᲣთაისი . | 11 | 51 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ᲧᲕᲘრილა. . | — | — | | | 3 | 98 | 2 | 21 |
| ბეჟათუბანი | — | — | ღამე | | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური . . | 5 | 41 | 1 | 6 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი . . | 7 | 23 | 3 | 6 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . . | — | — | | | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი . | 10 | 16 | 7 | 24 | 9 | 75 | 5 | 42 |

**ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲡ ᲒᲔᲛᲔᲑᲘ**

ა) **ᲤᲝᲗᲘᲓᲐᲛ:**
ᲠᲓᲔᲡᲘᲡᲙᲔᲜ — ხუთშაბ. შუადღეზე
ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲡ — კვირაობით დილას.

ბ) **ᲡᲝᲮᲣᲛᲘᲓᲐᲛ:**
ᲤᲝᲗᲡ — ოთხშაბათს, დილით.
ᲠᲓᲔᲡᲐᲡ — ოთხშაბათს, შუადღეზე.

| ᲤᲝᲗᲘᲓᲐᲛ: | I | | II | | III | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოხუმამდი . | 4 | „ | 3 | „ | 1 | „ |
| ᲥᲔᲠᲩᲐᲛᲓᲘ. . | 20 | 50 | 15 | 50 | 5 | „ |
| ᲢᲐᲒᲐᲜᲠᲝᲒ. | 34 | „ | 27 | „ | 8 | 60 |
| ᲠᲓᲔᲡᲡᲐᲛᲓᲘ. | 38 | „ | 30 | „ | 9 | 60 |

**ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘ**

| | მ. | კაპ |
|---|---|---|
| ᲠᲪᲘ სიტყვა ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲓᲐᲛ: | | |
| ᲥᲣთაისს, ᲤᲝᲗᲡ . . | 1 | — |
| ᲒᲝᲠᲡ, ᲓᲣᲨᲔᲗს, ᲡᲘᲚᲜᲐᲮᲡ | | 50 |
| ᲠᲝᲡᲢᲝᲕᲡ ᲠᲓᲔᲡᲐᲡ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲡ | 2 | — |
| ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲡ, ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐᲡ . . | 2 | — |
| ᲠᲡᲛᲐᲚᲔᲗᲨᲘ, ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐᲨᲘ | 3 | — |
| ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘ და ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲨᲘ. | 3 | 50 |
| ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲨᲘ. . . . . | 3 | 75 |

**ᲤᲝᲠᲨᲢᲐ**

ა) **ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲓᲐᲛ:**
ᲡᲐᲛᲖᲦᲕᲐᲠ ᲒᲐᲠᲔᲗ, ᲥᲣთაისს, ᲠᲣᲡᲔᲗᲡ — ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲙᲕᲘᲠᲐᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ. ᲖᲣᲒᲓ. ოთხშ., ᲠᲖᲣᲠᲒᲔᲗᲡ — პარასკ და ორშაბ. ᲑᲐᲥᲝᲡ — ორშ. სამშაფ. და შაბ. ᲥᲐᲮᲔᲗᲡ — სამშ. და შაბ.

ბ) **ᲥᲣთაისიდამ:**
ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ და ᲤᲝᲗᲘᲡᲐᲙᲔᲜ — ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ, კვირას გარდა. ᲠᲖᲣᲠᲒᲔᲗᲡ — ორშ. და პარასკ. ზუგდიდს — ოთხშაბ.

გ) **ᲒᲝᲠᲘᲓᲐᲛ.**
ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲐᲜ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ, კვირას გარდა.

დ) **ᲤᲝᲗᲘᲓᲐᲛ:**
ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲐᲜ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ, კვირას გარდა.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ |
|---|---|
| ᲚᲘᲐ წიგნის . . . . . | 4 |
| ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘᲡ (სამი მისხალი) . | 8 |

| ᲑᲘᲠᲭᲐ | მან. | კაპ |
|---|---|---|
| პეტერბურგი, 6 მარტს | | |
| Ერთი მანეთი ღირს: | | |
| ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲨᲘ 32 პენსი. | — | 84 |
| პარიჟში 334 სანტიმი. | — | 89 |
| მსკონტი (სარგებლისფასი) | 6 | — |
| ბანკის ბილეთი 5% | 100 | 25 |
| მოგებიანი (პირველისესხი) | 226 | — |
| მოგებიანი (მეორე სესხი) | 217 | 75 |
| ᲑᲘრაოს ფურცლები: | | |
| თფილ. სააზნ. ბანკისა. | 94 | -- |
| ხერსონის ბანკის (5½) | 88 | — |
| მოსკოვის (5%). . . . | 86 | 75 |
| ᲐᲥᲪᲘᲔᲑᲘ: | | |
| ᲠᲓᲔᲡᲘᲡ საეკრო ბანკის | 172 | — |
| ᲤᲝᲗᲘ-ᲗᲤᲘᲚ. რკინ. გზის | 139 | 50 |
| შავიზღვის ცეცხ. გემების | 560 | — |
| ᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘᲡ და მერკურის. . | 168 | — |
| პირვ. საზღვევ. საზოგ | 665 | — |
| პეტერბ. საზღვევ. საზ. | 263 | — |
| მოსკოვის საზღვევ. საზ. | 257 | 65 |

| ᲛᲐᲖᲐᲜᲓᲐ | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი, 12 მარტს | | |
| პური შორაგალის ფთ. | — | 90 |
| ᲥᲔრი ფუთი. . . . | — | 55 |
| ბამბა Ერევნისა, ფუთი . | 5 | 50 |
| — ᲐᲛᲔრიკისა, ფუთი. . | 6 | 30 |
| ბაპენტილი ბამბა ფთ. | 8 | — |
| მატყლი თუშური ფთ . | 7 | 50 |
| — ᲛᲘრაქამისა ფთ. . | 7 | 50 |
| ᲐᲑრეშუმი ნუხური გრ. | 2 | 60 |
| ᲥᲝნი, ფუთი. . . | 4 | — |
| ᲥᲝნის სანთელი ფუთი. | 5 | 60 |
| სტეარინის სანთელი, ფ. | 10 | 20 |
| ხორცი ᲥᲠᲝᲮᲘსა, ლიტ. | — | 63 |
| — ცხვრისა, ლიტრა. . | — | 72 |
| სპირტი, ვედრო. . . | 6 | 60 |
| შაქარი, ბროც. ფუთი . | 7 | 80 |
| — ფხვნილი ფუთი . . | 6 | 40 |
| ᲧᲐᲕᲐ ᲒᲠᲒᲕᲐᲚᲘ ფუთი . | 22 | — |
| ზეთი ქუნჯუთისა ფთ. | 5 | 50 |
| ᲠᲥᲝᲠ ½ იმპერიალი. . | 6 | 15 |

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 17 Марта 1876 г. Типографія Меликова и К°.* ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ Ს. ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ Ს. ᲛᲔᲡᲮᲘ.